ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 381

18 დეკემბერი
"---"---------- 2018 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №47-ის მიმდებარედ 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.021.033) პირდაპირი განკარგვის წესით ცაბუ პატარიძისთვის (პ/ნ:01030001330) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №47-ის მიმდებარედ 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.021.033) პირდაპირი განკარგვის წესით ცაბუ პატარიძისთვის (პ/ნ:01030001330) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 5 დეკემბრის №18.991.1362 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №47-ის მიმდებარედ 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.021.033) პირდაპირი განკარგვის წესით ცაბუ პატარიძისთვის (პ/ნ:01030001330) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 300 (ათას სამასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**